ხელშეკრულება № 198
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი **21 ნოემბრი 2016 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“ (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ხიდაშელის სახით და მეორეს მხრივ შპს "პრაიმი" წარმოდგენილი დირექტორის ელზა გნოლიძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ გამოყოფილი სახსრებით სხვადასხვა საწმენდი საშუალებების, სამეურნეო საქონლის და ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: შესყიდვის ობიექტი მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი მოცემულია დანართში №1
3.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 207,40 (ორასშვიდი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, დ.ღ.გ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი, ცხინვალის გზატ #8.
5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველთან საქონლის მოწოდების შემდგომ მოხდება 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს: - შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია: - მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; - უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი მომარაგების დარგში – რევაზ ნადიბაიძე

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.6 ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი №1.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ თვითმართველი თემი - გორის	შპს „პრაიმი“
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური	
ს/კ 417884622	ს/კ 218056804
ბანკი : სს „სახელმწიფო ხაზინა“	ბანკი : სს “საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი :TRESGE22	ბანკის კოდი : BAGAGE22
ა/ა „ხაზინის ერთიანი ანგარიში“	ა/ა GE06BG0000000156251600
მისამართი: გორი, სოფ.ბერბუკი.	მისამართი : გორი, ცხინვალის გზატ, მე-8 კმ
დირექტორი გიორგი ხიდაშელი	**დირექტორი ელზა გნოლიძე**

დანართი №1

CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
39832000	ფეირი ფორთოხალი	ცალი	2	2.4	4.8
33761000	სელპაკი ტუალეტის ქაღალდი	ცალი	50	1	50
39831000	იატაკის სარეცხი საშუალება	ცალი	3	6.6	19.8
39831000	ავეჯის საწმენდი პრონდო	ცალი	3	2.8	8.4
39831000	მინის საწმენდი პაპილონი	ცალი	4	2.2	8.8
39831000	ხელის საწმ.თხევადი საშ. ნესვი კივი	ცალი	2	2.2	4.4
33711900	თხევადი საპონი	ცალი	1	2.2	2.2
33711900	ხელის თხევადი საპონი ალუბლის	ცალი	2	2.2	4.4
39525800	საწმენდი ტილო	ცალი	3	1.8	5.4
18424000	ხელთათმანი რეზინის	ცალი	5	1.3	6.5
39525800	იატაკს ტილო	ცალი	5	2	10
39831000	ჭურჭლის ღრუბელი	ცალი	10	0.35	3.5
39831000	იატაკის საწმენდი სითხე ბაგი	ცალი	2	19.5	39
33711900	თხევადი საპონი "ალოე ვერა"	ცალი	1	4	4
33711900	თხევადი საპონი დოზატორით "ატამი" 500მლ	ცალი	1	4	4
39831000	მეგელუქსი ავეჯის საწ. 500 მლ	ცალი	1	5.5	5.5
39831000	უნივერსალი ფანჯრის საწ. სითხე 500 მლ	ცალი	2	5.7	11.4
39831000	დომესტოსი 500მლ *20 საწმ. საშ	ცალი	2	3.5	7
39831000	კომეტი ფიჭვი 475	ცალი	1	3	3
39831000	ახალი საფიკრემი 500მლ * 16 ნატურალსი	ცალი	1	5.3	5.3
				სრული ღირებულება	207.4

დირექტორი: გიორგი ხიდაშელი

დირექტორი: ელზა გნოლიძე

№298

მიღება - ჩაბარების აქტი

ა(ა)იპ „თვითმმართველი თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“

ქ.გორი 21 ნოემბერი 2016 წ.

ა(ა) იპ „თვითმმართველის თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა“ (ს/კ 417884622) და შპს „პრაიმი“-ს (ს/კ218056804) შორის 2016 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული №198 ხელშეკრულების შესაბამისად.

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა) იპ თვითმმართველის თემი - გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სპეციალისტის მომარაგების დარგში რევაზ ნადიბაიძის სახით, და მეორეს მხრივ, შპს „პრაიმი“ (შემდგომში „მიმწოდებელი„) წარმოდგენილი ელზა გწოლიძის სახით, ვაფორმებთ ამ მიღება - ჩაბარების აქტს შემდეგზე, რომ მიმღებმა მიიღო, ხოლო ჩამბარებელმა ჩააბარა :

CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
39832000	ფეირი ფორთოხალი	ცალი	2	2.4	4.8
33761000	სელპაკი ტუალეტის ქაღალდი	ცალი	50	1	50
39831000	იატაკის სარეცხი საშუალება	ცალი	3	6.6	19.8
39831000	ავეჯის საწმენდი პრონდო	ცალი	3	2.8	8.4
39831000	მინის საწმენდი პაპილონი	ცალი	4	2.2	8.8
39831000	ხელის საწმ.თხევადი საშ. ნესვი კივი	ცალი	2	2.2	4.4
33711900	თხევადი საპონი	ცალი	1	2.2	2.2
33711900	ხელის თხევადი საპონი ალუბლის	ცალი	2	2.2	4.4
39525800	საწმენდი ტილო	ცალი	3	1.8	5.4
18424000	ხელთათმანი რეზინის	ცალი	5	1.3	6.5
39525800	იატაკს ტილო	ცალი	5	2	10
39831000	ჭურჭლის ღრუბელი	ცალი	10	0.35	3.5
39831000	იატაკის საწმენდი სითხე ბაგი	ცალი	2	19.5	39
33711900	თხევადი საპონი "ალოე ვერა"	ცალი	1	4	4
33711900	თხევადი საპონი დოზატორით "ატამი" 500მლ	ცალი	1	4	4
39831000	მეგელუქსი ავეჯის საწ. 500 მლ	ცალი	1	5.5	5.5
39831000	უნივერსალი ფანჯრის საწ. სითხე 500 მლ	ცალი	2	5.7	11.4
39831000	დომესტოსი 500მლ *20 საწმ. საშ	ცალი	2	3.5	7
39831000	კომეტი ფიჭვი 475	ცალი	1	3	3
39831000	ახალი საფიკრემი 500მლ * 16 ნატურალსი	ცალი	1	5.3	5.3
				სრული ღირებულება	207.4

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 207,40 (ორასშვიდი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

მხარეებს ერთმანეთთან პრეტენზიები არ გააჩნიათ.

„შემსყიდველი“

მიიღო :

რევაზ ნადიბაიძე

მიმწოდებელი

ჩაბარა

ელზა გწოლიძე